შაბათი 8 დეკემბერი — თბილისი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ცის ნამი

1907 წ.

გაზეთ „ცის ნამი“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ დღე. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ. უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ცის ნამი“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები დაინახება. ანაზღაურების პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Николаевская Площ. № 1

№ 3. ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 3.

1907 წ. 6 დეკემბრიდან, ქალაქ თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,

## „ცის ნამი“

**ხელის მოწერა მიიღება გაზეთის გამოსვლის დღიდანვე.**

გაზეთი წლიურათ თფილისში ღირს 7 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი და უსათუოთ ერთ გვერდზე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახებს მხოლოდ ვრცელი წერილებს. წერილების თანა ცნობებისათვის საჭიროა საფოსტო მარკები.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპეიკი.

რედაქცია დროებით მოთავსებულია **ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цисъ нами“.

**გაზეთ „ცის ნამის“ რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების ისე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ფული და ყოველივე ცნობები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგის ადრესით:**

Тифлисъ, редакція „Цисъ нами“, Николаевская площадь, домъ Вартанова № 1. **Захарію Степановичу Бичашвили.**

ქართული წარმოდგენა. № 9

**არტისტულ საზ. თეატრში**

**დ ი ლ ი თ**

კვირას, 9 დეკემბერს

**იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური პიესა:

## სოფელში

სცენები 4 მოქ. ს. ყაფიანისა.

მომქმედნი პირნი: ქ-ნნი: ე. ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, ზ. გვედევანიშვილი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე ლალიაშვილი, ვ. მატარაძე, ა. ქიქიძე, კ. ყიფიანი, პ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.

**ადგილების ფასი დაკლებულია.**

დასაწყისი დილის 12 საათზე.

მორიგე წევრი გამგეობისა თავ. **ნიკ. ერისთავი რეჟისორი ვ. გუნია.**

**კვირას, 16 დეკემბერს**

ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ბავშვების იაფ-ფასიან და უზრუნველყოფილი აღზრდა-განათლების კავკასიის სიმზრუნველოს სასარგებლოთ

გამართული იქნება:

გრანდიოზული საირნობა,

ლატარია-ალეგრით,

საშობაო დიდი ფერხული

„ყინულის პაპა“ ანგელოზები, მატროსები, პეიზანები, „პეიზანკები“, „კლოუნები“, ალ-ქაჯები, კუდიანები და სხვა და სხვა მკითხავის ფეშქაშები,

ხორო: მომღერალთა.

ბალალაიკების,

მუსიკის,

მანდოლინების,

„კატოკი“,

გრამოფონი.

გაიყიდება კონფეტები, ყვავილები,

ხილი.

**კოსტა და ბუფეტი.**

თფილისი 8 დეკემბერი.

3 ივნისის კანონმა ხელოვნურათ შექმნა მესამე ოქტომბრისტული სათათბირო. ერთ თვეზე მეტია, რაც მან „მუშაობა“ დაიწყო და, მიუხედავათ ამისა, უმრავლესობისაგან ჯერაც არ შემდგარა ცენტრი, რომელსაც რაიმე უნარი გამოეჩინა და სიტყვიდან საქმეზე გადასულიყო. „საზოგადოების მაღალი სფერებიც“ კი დაცინვით უცქერიან ოქტომბრისტების უილაჯობას. შესდგა გარკვეული აზრი, რომ ისინი უპრინციპო და უვარგისი პოლიტიკოსები არიან, რომლებსაც არ შეუძლიანთ ორგანიულათ იმუშაონ.

მართალია, ყველანაირ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც შეერთებულია ერთნაირის ინტერესით, შეუძლიან იმუშაოს ამ ინტერესების დასაცველათ და ამნაირათ, არც ოქტომბრისტები უნდა შეადგენდენ გამონაკლს, მაგრამ ჩვენ მაინც აშკარათ ვხედავთ მათს უნაყოფო მეცადინეობას თავის გარშემო შეუდრეკ და მაგარ უმრავლესობის შესადგენათ.

რა არის ამის მიზეზი? რატომ არ შეუძლიანთ მათ შეადგინონ ერთი, მჭიდროთ შეკავშირებული პარტია, რომელზედაც მთავრობა დაეყრდნობა თავის პოლიტიკის საწარმოებლათ? როგორც თვითონ ამბობენ, ისინი ხომ „კონსტიტუციონალისტები“, „სასტიკ კანონიერების“ და წეს-რიგის ხალხია, რომელთაც სწამთ კერძო საკუთრება, პატრიოტიზმი და ქედს იხრიან ყველანაირ „სამწუხარო აუცილებლობის“ წინაშე?

აქ დანაშავეა თვითონ მთავრობა, რომელმაც თავისი პოლიტიკით, თავისებურათ გაწვრთნილ ოქტომბრისტებთან ერთათ, მესამე სათათბიროში 3 ივნისის კანონით ორჯერ მეტი წმინდა მავრაზმელები გაიყვანა. მთავრობას აქით უნდოდა ესენი ერთი მეორისათვის დაეახლოებინა და მათგან ერთი მტკიცე კავშირი შეექმნა იმ ანგარიშით, რომ ორივე მხრიდან თავი დაეცვა და მათთან ერთად გამოევლო ახალი ცხოვრების ტალღების მოზღვავება.

მაგრამ მთავრობა ანგარიშში მოსტყუვდა: შავ-რაზმელების და ოქტომბრისტების შეერთება-შეკავშირება შეუძლებელი შეიქმნა. იმ დროს, როდესაც მთავრობა ოქტომბრისტებს პოლიტიკურათ წვრთნიდა და კანონების მორჩილებას ასწავლიდა, ამ დროს მემარჯვენენი ტილოზე თავისუფლათ იყვნენ გაშვებულნი, რომლებიც თავის ველურობით ამპარტავნობდნენ და თავის გაუმაძღარ მადის დაკმაყოფილება პატრიოტულ მოღვაწეობათ მიაჩნდათ, მთავრობის სიმპატიაც იმდენათ დიდი იყო მემარჯვენეებისადმი, რომ ივიწყებდა ახალ წესწყობილების საფუძველს, სათათბიროს, და მათთან ერთათ ამ სათათბიროს მტრულათ უცქეროდა.

და აი, ეს განებივრებული, აულაგმავი მემარჯვენეები მთელი თავის ველურობით, მოექცნენ სათათბიროში. თუ მთავრობა „სამწუხარო აუცილებლობის“ გამო იძულებული შეიქმნა საზოგადოებრივი ჯგუფების ორგანიზატორათ და აღმზრდელათ გამოსულიყო, რატომ არ ეცადა ის, და ოქტომბრისტებთან ერთად იმავე გზით მემარჯვენეებიც არ მოამზადა? თუ კი გუშინ პეტერბურგში განსაკუთრებით სწვრთნიდნენ და ასწავლიდნენ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს, რატომ ასევე არ მოექცნენ თავად-აზნაურულ ტრადიციებით გაჟღენთილ მემარჯვენეებს?..

მაგრამ მთავრობა, რომელიც ოქტომბრისტებს აცნობდა თავის მისწრაფებებს და მოსაზრებებს, იმავე დროს მეგობრულ და კეთილ განწყობილებაში იყო „მემარჯვენე მეგობრებთან“, რომლებიც თავაშვებულათ და ავტონომიურათ მოქმედებენ და, „ნოვოე ვრემიას სიტყვით, ოცნებობენ ძველი რეჟიმის წამოყენებაზე და მის განმტკიცებაზე. როგორც კი ოქტომბრისტებთან ერთად სათათბიროში გაჩნდნენ მემარჯვენენი, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მათ ვერ შესძლეს ერთმანეთთან მორიგება და ამიტომაც პირველ შემთხვევაშივე ვერ შეადგინეს ის უმრავლესობა, რომელზედაც მთავრობას უნდოდა დაყრდნობილიყო. საქმეს ვერ უშველა ვერც მთავრობის ოფიციოზის „როსიის“—მოწინავე წერილებმა, რომლებიც ბრძანებითი კილოთი განკარგულებებს იძლეოდა. აშკარაა, რომ მათი მექანიკურათ შეერთება ორივე მხრის წინდაწინვე მოუმზადებლობისა გამო ვერ მოხერხდა.

მთავრობას თუ უნდოდა მხოლოდ ოქტომბრისტებზე დაყრდნობა, მაშინ მას მემარჯვენენი უნდა გამოეყო და თავის პოლიტიკაზე მათი გავლენა აეცილებინა. მან კი განიზრახა ოქტომბრისტებზედაც და მემარჯვენეებზედაც დაყრდნობა. ამისათვის მას თავის დროზე ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მემარჯვენეებისათვისაც, თუმცა ეს უკანასკნელნი ისე ადვილად არ ემორჩილებიან ამ ხელმძღვანელობას, როგორც ოქტომბრისტები. და აი, აქედგან წარმოსდგა სათათბიროს დღევანდელი, თავ-გზა-დაბნეული, უმრავლესობა, რომელთანაც ერთად მთავრობა აპირებს თავის პოლიტიკის წარმოებას.

მთავრობა მოსტყუვდა ანგარიშში და, მის გზა-დაბნეულ პოლიტიკის წყალობით, მესამე სათათბიროშიაც შესდგა გზა-დაბნეულივე „უმრავლესობა“...

### სახელმწიფო დუმა.

როგორც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, სარწმუნოებრივ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეთ ამოურჩევიათ ეპისკოპოსი ევლოგი, მის ამხანაგათ—ბარონ როზენი, მდივნათ—კაზანსკი, ხოლო მდივნის ამხანაგათ—ტკაჩევი.

მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეთა კომისიის თავმჯდომარეთ ამოურჩევიათ ვლადიმირ ლვოვი, მის ამხანაგათ—ზნამენსკი, მდივნათ—პაპოვი. მეორე სასამართლო რეფორმების თავმჯდომარეთ ამოურჩევიათ პლევაკო, მდივნათ—გრაფ ბენიგსენი.

ოფიციალურ გამოცემაში გამოქვეყნდა მეორე სათათბიროს განყოფილებების კომისიების მოქმედების მიმოხილვა, რომელიც შეუდგენია დუმის კანცელარიას, მის დროებით მმართველის გლინკას რედაქციით. მიმოხილვა შესდგება ორი ნაწილისაგან: პირველი შეიცავს სისტემატიურათ ამოღებულ კომისიების ცნობებს ჟურნალებიდან, მოხსენებიდან და კომისიების მიწერ-მოწერიდან; მეორე ნაწილი შეიცავს მასალებს, რომლიც კომისიებს ქონდა განსახილველათ, ანუ რაიმე დამოკიდებულება ქონდათ მათ მოქმედებასთან და მოხსენებებს, სტენოგრაფიულ ანგარიშში დაბეჭდილებს.

მუშათა საკითხის კომისიამ დაადგინა: განიხილონ ფინანსთა მინისტრის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა ფულით დაჯილდოვებულ იქმნენ სახელოსნოების მუშები, რომელთაც დაკარგეს მუშაობის უნარი ფაბრიკა-ზავოდებში, აგრეთვე მათი ოჯახები. ამ კანონპროექტის გამო მომხსენებლათ ბარონ ტიზენგაუზენი და ხტეფანოვია, რომელთაც წინადადება მიეცა დაამთავრონ თავიანთი მოხსენება კომისიის სხდომისთვის 12 დეკემბრს.

მეორეხე საბიუჯეტო კომისიამ შეუცვლელათ მიიღო სამხედრო საზღვაო გამგეობის მთავარ შტაბის ხარჯთ-აღრიცხვა, მოისმინა გენერალ საბელინის განმარტება სამხედრო სამინისტროს კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ და განიხილა გენერალურ შტაბის ხარჯთ აღრიცხვა.

გადასახლების საქმეთა კომისიამ მოისმინა მიწათ-მომწყობ გამგეობის მთავარ გამგის ცნობა, გადასახლების საქმეთა მიმდინარეობის შესახებ. თავად ვასილჩიკოვმა, სხვათაშორის, განაცხადა, რომ გადასახლება ჩვენს დროში შეადგენს უმთავრეს საკითხს. მთავრობა, აგრარულ საკითხის გადაწყვეტის დროს, სრულიად არ სცნობს უმთავრეს საკითხათ გადასახლების საქმეს. თუ მივიღებთ საზოგადო ფორმულათ აგრარულ საკითხის სიმწვავეს, მიწის სიმცირეს, მაშინ არ შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ, რომ ზოგ ერთ ადგილებისათვის გადასახლება შეადგენს უმთავრეს საშუალებას, ადგილობრივ საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტაში, მაგრამ მთავრობას გადასახლების საქმე მიაჩნია მხოლოდ პოლიატივათ მიწის სიმცირის აცილების დროს.

მთავარგამგებელი კატეგორიულათ უარყოფს, რომ უსაფუძვლოა მივაწეროთ გადასახლების გაძლიერება ცენტრალურ მთავრობის ხელოვნურ ზომებს და დროს განსაკუთრებულ პირობებს. გადასახლების გაძლიერების მიზეზები სრულიად სხვას წარმოადგენენ. ეს მიზეზებია ფართო პროპაგანდის გაწევა, რომელიც უფრო მეტს და ადვილ საშუალებას მოგვიპოვებს მიწათ-სარგებლობის გაფართოვების საქმეში და ყოველ დღე არ გაზდის იმ გლეხთა რიცხვს, რომელნიც ცნობებს კრებენ, ომიდან დაბრუნებულ ჯარის კაცთა გამოკითხვით, ციმბირის სიმდიდრეზე შემდეგ მთავარ გამგებელი ეხება რამდენიმე სხვა კითხვებსაც, რომლებიც უფრო ღრმათ იტაცებს საქმის ნამდვილ მდგომარეობის მისი აზრით, ყირგიზების მიწათ მოწყობის საკითხი უფრო

რთულია, ამ ოთხი მილიონ ხალხს, რომელიც ადგილიდან ადგილებზე გადადის, თავის სარგებლობაში 245 მილიონი დესეტინა მიწა აქვს. ციმბირში გადასახლებულთა მიწით მოწყობა დღეს იმავე საფუძვლით ხდება, როგორც ეს მიღებულია ციმბირის მკვიდრ მცხოვრებლების შესახებ და ეს საფუძველია—მიწით საუკუნო მფლობელობა და არა დროებით სარგებლობის უფლება. რადგანაც მთავრობა წინასწარ გრძნობს მიწის სივიწროვეს, ამიტომაც მას სურს ციმბირის შესახებ შემოიტანოს იმგვარი კანონპროექტი, რომელიც ამ შემთხვევაში შესცვლის ძირითად საფუძველს 23 ივნისის 1906 წლის კანონსა.

იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მთავარგამგის შეხედულობას, ის იმ აზრსატარებს, რომ გადასახლება შეადგენს სლავიანთა მოდგმის ბუნებრივ ლტოლვილებას; არავითარ დაბრკოლებას და არავითარ ცირკულიარებს არ შეუძლიან ამ მოძრაობის შეჩერება. ერთად ერთი საშუალება ამის შესაფერხებლათ ეს—წყნარი ოკეანეა. მთავარგამგემ გამოსთქვა სურვილი, რომ ამ მოყვანილმა ცნობებმა დაამკვიდროს სოლიდარობა აღმასრულებელ მთავრობისა და კანონმდებლობითი დაწესებულებების შორის და მოხსენება დაამთავრა შემდეგი სიტყვებით:

„ეე, სახალხო წარმომადგენლებმა მიიღონ თავის მფარველობის ქვეშ ეს დიდი საერო საქმე და აღჭურვონ უსაჭიროეს საშუალებებით და კანონებით აღმასრულებელი მთავრობა, მისი უდიდებულესობის სახით, ამ კანონების ცხოვრებაში გასატარებლათი. კომისიამ, მოხსენების მოსმენის შემდეგ, იმსჯელა კერძო კითხვებზე და სხდომა დაიხურა.

## სახელმწიფო სათათბიროს გარშემო

**სათათბიროს კანიკულები.** აზრითა აქეთ, საშობაოთ სათათბიროს სხდომები 18-20 დეკემბრიდან ერთი თვის განმავლობაში შესწყვიტონ.

**სახელმწიფო დაცვის კომისია.** 29 ნოემბერს ამ კომისიამ დაიწყო მუშაობა; პირველად მან გაარჩია კანონ-პროექტი მესამე რიგის კაზაკების ცხენებით უზრუნველ-ყოფის შესახებ. მათ მობილიზაციის დროს. კომისიამ კანონ-პროექტი უცვლელათ დაამტკიცა. ბოლოს კომისიამ დაადგინა მოსთხოვოს ბიუჯეტის კომისიას წინასწარ განსახილველათ ახალ ჯავშნიან გემების ასაშენებლათ შედგენილი ხარჯ-აღრიცხვა, რისთვისაც მან გამოყო განსაკუთრებული პოდკომისია; გადასწყვიტეს აგრეთვე ამ პოდკომისიაში მიიწვიონ საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელი. კომისია თავის გადაწყვეტილებას საბიუჯეტო კომისიას გადასცემს სათათბიროში წარსადგენათ.

**საბიუჯეტო პოდკომისია.** მეშვიდე საბიუჯეტო პოდკომისიამ უწმიდესი სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, საჭიროთ დაინახა, რომ სამღვდელოებისათვის ხაზინისაგან გადადებული 200,000 მანეთი სასულიერო კონსისტორიებმა კი არა, სამღვდელო ეპარქიალურმა სიეზდებმა გაანაწილონ, რადგან ისინი უფრო გაცნობილები არიან სამღვდელოების მდგომარეობასთან. პოდკომისიამ აგრევე საჭიროთ დაინახა სასულიერო სასწავლებლებში დაბალ მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება.

**მუშათა კითხვის კომისია.** რადგანაც სამინისტრომ სათათბიროში მუშათა კითხვის შესახებ არავითარი კანონ-პროექტი არ წარადგინა. ამისათვის მუშათა კითხვის კომისის უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. კერძო ცნობებით, როგორც კომისიის თავმჯდომარეს გაუგია, სამინისტრო შობის შემდეგ აპირობს მუშათა დაზღვევის კანონპროექტის წარდგენას სათათბიროში.

**აგრარული კომისია.** ამ კომისიამ გადასწყვიტა, როდესაც კომისიის პრეზიდიუმი გამოიმუშავებს საერთო გეგმას კომისიის მუშაობისას, ამის შემდეგ შეუდგეს მუშაობას. 28 ნოემბერს კომისიის პრეზიდიუმის სხდომას დაესწრენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი: მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი ბ.ა. პოლენოვი და პესტრჟეცკი. პრეზიდიუმმა გამოსთქვა სურვილი, რომ რაც შეიძლებოდეს ჩქარა იქმნას სათათბიროში წარდგენილი 9 ნოემბრის 1906 წ. დროებითი აგრარულ საკითხის უმთავრესი კანონი, რომელიც შეეხება სოფლის საზოგადოებიდან გამოსვლას. სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს კანონი სათათბიროში იქნება წარდგენილი დეკემბრის შუა რიცხვებში.

## ახალი ამბავი

✦ **მანტაუისტების ნავარდობა.** როგორც გავიგეთ, ელისაბედის და მუშტაიდის ქუჩის კუთხეში, დიდუბისკენ მიმავალ ქუჩაზე, რამდენიმე შეიარაღებულმა ახალგაზდამ დაატყვევეს მეტივე ზაქარია გეწაძე და გიორგი მამულაშვილი გაჩხრიკეს და რომ ვერაფერი უპოვეს, ორივე დაატყვევეს; შემდეგ მამულაშვილს უბრძანეს: წადი, მოიტა 300 მან. თორემ ამასაც და შენც ამ ხოველს მოგაშორებთო. მამულაშვილიც გაეშურა, ისესხა 110 მან. და ამხანაგი გამოიხსნა.

✦ უსპენსკის ქუჩაზე, 6 დეკემბერს, პოლიციამ გაჩხრიკა სპარსეთის ქვეშევრდომის პეტრო ასლანიანცის ბინა. პოლიციელებმა გაჩხრეკის დროს იპოვნეს „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი და 15 ცალი პატრონა. ასლანიანცი, რადგანაც მას ნებართვა იარაღის სატარებლად არ აღმოაჩნდა, პოლიციამ დააპატიმრა და მეტეხის ციხეში გაგზავნა.

✦ 6 დეკემბერს, ხელმეორეთ გაჩხრიკეს თფ. ქალაქის გამგეობის მოხელე ი. ბესელიძე და კიდეც დააპატიმრეს.

✦ 5 დეკემბერს, საღამოთი, პოლიციამ გაჩხრიკა წყნეთის ქუჩაზე, სათავადაზნაურო(?) უწყების სარდაფის მუშათა საცხოვრებელი ბინები. მუშებს საეჭვო არაფერი აღმოაჩნდათ და არც არავინ დაუპატიმრებიათ.

✦ წყნეთისავე ქუჩაზე პოლიციელებმა გაჩხრიკეს აგრეთვე სხვა კერძო სახლებიც, სხვათა შორის, გაჩხრიკეს ქართლ-კახეთის სამღვდელოების სანთლის ქარხნის მუშის პეტრე სამადაძის ბინა, წაიღეს რამდენიმე ბროშიურა და სამადაძე დააპატიმრეს.

✦ 4 დეკემბერს, საღამოთ გოლოვინის პროსპექტზე, რაღაც მიზეზისა გამო, შერომანტიევის ქალს წაჩხუბებია, სინოდალურ კანტორის მოხელე გაბუნია, ჩხუბის დროს ქალს წამოხმარებია სამი კაცი. თავის დასაცველად გაბუნიას უძვრია რევოლვერი, მაგრამ არ გაუსვრია. საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც გაბუნია დააპატიმრა, გაბრნიას ნება ჰქონია გენერალ-გუბერნატორისაგან იარაღის ტარებისა.

✦ კვირას, 9 დეკემბერს, ზუბალაშვილისაგან აშენებულ სახალხო სახლში ქართულ ენაზე ბ-ნი გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას.

✦ 4 დეკემბერს, პუშკინის ბიბლიოთეკაში ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ბ-ნ ნ. ი. კარკამ დაიწყო პოპულიარულ ლექციების კითხვა ამ სათაურით: წარსული, აწმყო და მომავალი დედამიწისა. ორი ლექცია ბ-ნმა კარაკაშმა უკვე წაიკითხა.

✦ ამ დღეებში 15 დეპუტატი ჩამოვიდა კავკასიის იმ ადგილებიდან, სადაც სცხოვრობენ სომხები და აქ თბილისში გამართეს თათბირი იმის შესახებ, რომ შუამდგომ-

✦ 6 დეკემბერს. საღამოთი, ერევნის მოედანზე პოლიციელებმა დააპატიმრეს, ერთი კაცი გვარად თედორე კვინტელია, რომელსაც სადღაც მოეპარა ფეხსაცმლები და მიჰქონდა. ფეხსაცმლები სერგო ყალანთაროვის მაღაზიიდან მოპარული აღმოჩნდა. ისიდორე კვინტელია პასუხის გებაში მისცეს.

✦ 5 დეკემბერს, თფილისის გარშემო გორები ჩამოთოვლა და 6 დეკემბრიდან საგრძნობლათ აცივდა. ღამით 6-7 დეკემბერს თფილისშიაც მოვიდა თოვლი.

✦ ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე მიმავალ გორის მაზრის მცხოვრებს ნიკოლოზ პაპუაშვილს, საღამოს 8 საათზე თავს დაეცა სამი უცნობი შეიარაღებული კაცი და მუქარით მოსთხოვეს ფული. როდესაც უცნობებმა უარი მიიღეს, მისცვივდნენ პაპუაშვილს და ბებუთით დასჭრეს. ამის შემდეგ უცნობები გადაიმალნენ. დაჭრილს საექიმო დახმარება აღმოუჩინეს.

✦ იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე დიდუბის ტაძართან მდგომ ტრამვაის ელექტრონის ვაგონის კონდუქტორს თავს დაეცა სამი კაცი. უცნობთ კონდუქტორს, კონსტანტინე დანელიას, უბრძანეს ხმა არ ამოეღო. ორი უცნობთაგანი მივიდა დანელიასთან ჩამოაჭრეს საფულე, რომელშიაც 8 მან. და 9 კაპ. იყო და მიიმალნენ. მძარცველები შეიარაღებულნი იყვნენ ბებუთებით და რევოლვერებით. ცოტას ხანს შემდეგ მისულა პოლიცია, მაგრამ მძარცველებმა თავს უშველეს.

✦ ლაზარევისა და ჟანდარმის ქუჩების შესართავთან მცხოვრებ ჩიმიშკიანცის სახლში შეპარულან ქურდები და მოუპარავთ მრავალი ძვირფასი ნივთები.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, ლიუტერანთა სასაფლაოს ახლო, 5 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე მიდიოდა ივანე მანაშვილი. საიდღანაც გაჩნდა ორი კაცი. მანაშვილს ერთმა

---

# ფელეტონი.

### სინიდისმა ამხილა!

—

მზე თავის წითელ ფეროვან სხივებს უკანასკნელათ სცემდა ამაყათ მდგომ ყაზარმას და მის ახლო-მახლო მდებარე პატარა გორაკებს. ოთხ სართულიან ყაზარმას ჩამწკრივებული ჰქონდა მრავალ რიცხოვანი ფანჯრები, რომელნიც მის სიმაღლეს ამშვენებდნენ. ყაზარმის წინ გრძელი და ვიწრო ხეივანი წმინდა ჰაერს აყნოსინებდა ყაზარმაში მყოფ ჯარის კაცებს. იქვე გამწკრივებული იყო თეთრი კარვები, რომელთა შუაც ქუჩები იყო გატანილი; აქა იქ, ხის ბოძებზე შუშის ფარნები იყო ამართული და, მოწყენილი დასცქეროდა ჯარის კაცთა კარვებს. კარვების შორი-ახლოს იდგა რამდენიმე ზარბაზანი. ყაზარმის წინ კი, ჯარის კაცნი ხელი-ხელს ჩავლებულნი ფერხულს უვლიდნენ. დანარჩენი ჯარის კაცნი ნაწილ-ნაწილათ გაფანტულიყვნენ,—ზოგი იქვე რაღაცას მღეროდა, ზოგნი კარვებში ისხდნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, ზოგნი კი ისე იყვნენ—მოწყენილნი, რომ კაცს ეგონებოდა, სიკვდილს ელიანო! ზოგნი მათგანი რაღაცა წიგნაკს კითხულობდა და მწარეთ ოხრავდა, თითქოს გულს კაეშანი მოსწოლოდათო და იდუმალი გრძნობა მათ გულსაც ჩასჭიდებოდა. მაგრამ ერთი მეორეს კი მაინც ვერაფერს უმხელდნენ. კარვებ შუა ამართული, ლურჯათ შეღებილი, ფარნები ოდნავ ბჟუტავდნენ, მხოლოდ მკრთალათ ანათებდნენ თავის გარშემო...

მზე უკვე გორის ამოეფარა და ცის კამარაზე გამოჩნდნენ კაშკაშით ვარსკვლავები. ჯარის კაცებმა უკვე შესწყვიტეს სიმღერა—ცეკვა და კითხვა; ყველამ ერთათ მოიყარა თავი და მთელს მიდამოს მოედო მათი გალობის ხმა, რომელსაც დაძინების წინ გალობდნენ, და ეს გალობის ხმა არღვევდა ამ ყრუ და ბნელ ყაზარმის მყუდროებას. ყაზარმის კუთხეში, მაცხოვრის ხატის წინ, ჩამწკრივებულიყვნენ ჯარის კაცნი და წყნარათ ლოცულობდნენ. ხატის წინ ანთებული კანდელის მკრთალი სინათლე მორცხვათ ანათებდა თავის გარშემო. სხვა ჯარის კაცთა შორის, ყურადღებას იპყრობდა ერთი ჯარის კაცი, რომელიც გამალებული პირჯვარს ისახავდა და მეუფეს გულმხურვალეთ შენანებასა და პატიებას სთხოვდა. ლოცვის შემდეგ გაისმა რამდენჯერმე ერთი მეორეზე დაფდაფის ხმა. გალობაც შესწყდა და ყველა გაეშურა თავის კარვისკენ მოსასვენებლათ. ყაზარმაში დარჩნენ მხოლოთ მოდარაჯე ჯარისკაცები.

ყველას ეძინა. ყაზარმის გარშემო არა ისმოდა რა. მთელი თვალ-უწვდენელი ქალაქი, რომელიც დღის სინათლესავით იყო განათებული, ისიც-კი მყუდროებას მისცემოდა; მხოლოდ ქალაქის დიდრონ და განათებულ ქუჩებზე დრო გამოშვებით მოისმოდა ეტლის სრიალი და ცხენების ფეხის ხმა და ისევ მალე სწყდებოდა. ყაზარმის ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რასაც მხოლოდ ღამის დარაჯების ფეხის ხმა და მასთან მძინარეთა ძილში უაზროთ ლუღლუღი არღვევდა. ამ ლუღლუღს მოსიარულე დარაჯი ძალიაძალ ყურს უგდებდა და თანაც ეღიმებოდა, თუმცა ეს ღიმილი ნაძალადევს უფრო გავდა, ვიდრე ბუნებრივს. ამასთანავე ერთით მძიმეთაც ამოიხვნეშებდა ხოლმე და თვითონაც რამდენიმე სიტყვას წაილუღლუღებდა, ისიც ისე მძიმეთ და ხრთოლით, რომ თითქოს ვიღაცის ეშინიანო.

— საბრალო ჯარის კაცნო, ძილშიაც კი არ გასვენებენ, ძილშიაც-კი იმას ვიძახით, რასაც დღისით ასი ათასჯერ ჩაგძახიან: „რას, დვა“ „რას—დვა“ და „შაგომარშ.“ განა ამის შემდეგ შეიძლება, რომ აი აქ, ამ ციხე-საპყრობილეში რაიმე განათლება შეიძინოთ და ხალხს ემსახუროთ?!

ყაზარმაში განცალკევებული იყო უფროსებისთვის წვრილი ოთახები, ნაგრამ დღეს ყველა ცარიელი იყო და მხოლოთ ერთი ოთახიდან მოსჩანდა სინათლის შუქი. იქვე რკინის კრაოტებზე რამდენიმე ჯარის კაცს ეძინა, არ ეძინა მხოლოთ ვასილას. ის, ორთავ ნიდაყვებზე დაყრდნობილი, მწარე ფიქრებს მისცემოდა და მის გვერდით მისივე იქვე მის საწოლზე მუნდირი, ქუდი და ჩექმები ეყარა; ვასილა დღეს ისე აღარ იყო მხიარული, როგორც სხვა დროს, თუმცა მან ხუთი დღის წინათ მიიღო მესამე ბასონი (ძაფი) და ოცდათი მანეთი ფული, რომლითაც იყიდა ახალი მუნდირი ჩექმები. მაგრამ დღეს ყველა ეს ისე ეყარა, რომ თითქოს სამუდამოთ თავიდან იშორებს ამათ პატრონი. მისი ოთახი სუფთათ, კეკლუცათ მოწყობილი, თუმცა მას, გარდა საწერ მაგიდისა, ერთი ხის სკამსა, საწოლი კრაოტისა, მეფე-დედოფლის სურათისა და ორი პატარა ხატების არაფერი გააჩნდა, დღეს არეულ დარეული იყო, თოფიც კი თავის ადგილას აღარ ეკიდა და იქვე კუთხეში იყო მიგდებული.

ვასილა რაღაცას ჩასცქეროდა, რაღაცას ლუღლუღებდა, დროგამოშვებით გულის სიღრმიდან მძიმეთ ოხრავდა და თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა:

— ნუ თუ მართალს ამბობენ?—წაილაპარაკა მან, თითქო! ვიღაცას ეკითხებაო. როდესაც არსიდან პასუხი არ ისმოდა, თვითონვე უგებდა პასუხს თავის შეკითხვას:

— დიახ, დიახ, ყველა სიმართლე ყოფილა! ვინა ვარ მე? მეც მტერი ვყოფილვარ ხალხისა! ნუ თუ ვინც გამოვასალმე წუთი-სოფელს, ყველა უდანაშაულონი იყვნენ? ახლა მივხვდი, მესმის რაშიც ყოფილა საქმე, მაგრამ გვიანღაა. მაგრამ არა, არა, და ათასჯერ არა! გვიან არა არის—წაილაპარაკა მან და ღრმა ფიქრს მიეცა. ამ დროს მას რაღაცა ახრჩობდა, გულზე რაღაცა მოსწოლოდა, მზათ იყო ცრემლები გადმოეღვარა.

— საბრალონი, როგორ ვტანჯეთ! როგორ გვევედრებოდნენ, როდესაც ბოძზე ვაკრავდით მათ, როგორ გვეხვეწებოდნენ რომ ტყვია შიგ გულში მოგვეხვედრებინა და ჩვენ, გულქვანი, ხუთ წამში ერთხელ თითო ტყვიას ვესროდით და ისიც ფეხებიდან დავიწყეთ. მერე, რათა? რა დააშავა! ეს?! იმიტომ, რომ მათ ვეღარ მოუთმინა გულმა ამდენ უსამართლობის გულ-გრილათ შეხედვამ და იმათაც გაბედეს ხმის ამოღება? ალბათ ასეა მოწყობილი ქვეყანა, რომ უდანაშაულო დამნაშავეა და დამნაშავე კი თავისუფალი!

ერთ ხანს სიჩუმე იდგა მას გარშემო. მხოლოთ ვასილას ცრემლები და სლოკინი არღვევდა ამ სიჩუმეს. მის წინ გადაშლილი ვებერთელა წერილის სიტყვები გულს უშფოთებდა. თვალცრემლიანი მწარეთ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს, რავდენჯერმე კითხულობდა ერთსა იმავე წერილს, თითქო უნდა გაიზეპიროსო.

— ერთხელ, ერთხელ კიდევ წავიკითხავ, იმეორებდა თვალცრემლიანი ვასილა. და მგონი ეს მეოცეჯერ კითხულობდა. „ძმავო ვასილ! მე მივიღე შენი უკანასკნელი წერილი, სადაც ამოვიკითხე შენი მხეცური მოქმედება. მაპატიე, ვასილ,

უცნობთაგანმა გულზე რევოლვერი დაადვა და უბრძანა-ხმის ამოუღებლად ადგილიდან არ დაძრულიყო. მეორე კაცი კი მივიდა დაუჩხრიკა ჯიბეები, ამოაცალა თუ რამ ჯიბეში ჰქონდა და ორივენი არხეინად გაუდგნენ გზას.

ლობა აღძრან უმაღლეს მთავრობის წინაშე და სთხოვონ დამშეულ ხალხის გამოსაკვებად ფულის გადადება. ხალხი დამშეულია, როგორც მოუსავლობისა, ისე ამას წინეთ მომხდარ სომეხ-თათართა შეტაკების მიზეზით. დეპუტატების გამოკვლევით, კავკასიაში მცხოვრებ ხომისათვის ამ ჟამად საჭიროა არა ნაკლებ 3,600,000 მანეთი ხალხის გამოსაკვებად. დეპუტატებს რამდენიმე სხდომა ჰქონდათ ამ საკითხის გამო. გადასწყვიტეს დაბეჭდონ, სად რამდენი სული დაიმშა. უკანასკნელი სხდომა ჰქონდათ 6 დეკემბერს და დაადგინეს. დეპუტაცია გაგზავნონ ნამესტნიკთან და სთხოვონ მას 3,600,000 მან. დამშეულებისათვის, დეპუტატებს იმედი აქვთ ფულის მიღებისა და ფიქრობენ ყველა მაზრებში გამოსაკვები კომისიების დაარსებას.

✦ თბილისის მაზრის სოფ. ხაშმს ჰქონია 9 დესეტინა სასოფლო მიწა. ორი დესეტინა იმ მიწისა გაშენებული ყოფილა ხე ხილეულებით. რამდენიმე კაცი მორიგებია ხაშმის საზოგადოებას და ეს მიწები 9 წლ. ვადით იჯარით აუღიათ. მოიჯარადრენი ხელშეკრულები, ვალდებულნი არიან ყოველ წლობით სოფელს აძლიონ 100 მ. და აგრეთვე ცხრა დესეტინა მიწა გაანაყოფიერონ და შეამზადონ დანიშნულ დროს განმავლობაში სამეურნეო სკოლის და ბაღის მოსაწყობად. მოიჯარადრენი ამ მამულზე გამართავენ სანერგეს, ამერიკულ ვაზის გასავრცელებლად გააშენებენ ვენახს და სხ.

✦ 6 დეკემბერს, თამამშევის ქარვასლაში დააპატიმრეს განჯის მცხოვრები მკირტიჩ ბაღდასაროვი, რომელსაც აღმოაჩნდა მოპარული ავრეშუმის ცხვირსახოცები. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ეს ნივთები უნდა იყოს წაღებული ჩილინგაროვის მაღაზიიდან. ჩილინგაროვს ამ დღეებში 15,000 მ. ღირებული საქონელი მოჰპარეს.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ყოველ წლობით მართავს 21 დეკემბრის კონცერტს საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობის გასაძლიერებლად. გამგეობამ გადასწყვიტა წელს, კონცერტის ნაცვლად, თბილისის სობრანიეს დარბაზში გამართოს წარმოდგენა ქართულ ენაზე. ამისათვის გამგეობამ სთხოვა ქართულ დრამატიული დასს შეუდგეს ეხლავე მზადებას, რომ წარმოდგენა რიგიანად იქნეს მოწყობილი. წარმოდგენის შემდეგ 21 დეკემბერს სობრანიეში გაიმართება ევროპიული და აზიური ცეკვა-თამაში.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში—ჩუღურეთში, არქიპოვის ქუჩაზე პოლიციამ ღამით გაჩხრიკა ზუგდიდის მაზრის მცხოვრები გერასიმე კვირტია, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი ფულები სამ-სამ მანეთიანი 145 მანეთისა, 14 ოქროს ფული ათ მანეთიანი, 11 ოქროს ფული ხუთ-ხუთ მანეთიანი, სულ-630 მან. კვირტია დაპატიმრეს.

## მეორე სახელ. დუმის სოც.-დემ. ფრაქციის გასამართლება.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულ „პრისუტსტვიეს“ პროკურორის მოვალეობათა აღმასრულების საბრალმდებლო ოქმი: 1) დუმის ყოფილი წევრნი: ანიკინი, ანისიმოვი, ბატაშევი, ბელონოვსკი, ბელეუსოვი, ვოკოვანოვი, ჟახრუშევი, ვინოგრადოვი, ვოჟჩინსკი, გოლოვანოვი, გუბარევი, გუმენკო, ჯაფარიძე, იზმაილოვი, კოლონინი, კანდელაკი, კაციაშვილი, კირიენკო, ლომთათიძე, ლოპატკინი, მარჯი, მახარაძე, მირონოვი, ნაგიხი, ივანე პეტროვი, იაგორ პეტროვი, პრიხოდკო, რუბანი, რიზალჩენკო, სანნო, სტეპანოვი, სეროვი, ფედეროვი, ფიმიჩევი, კაშინი და იუდინი დამნაშავენი არიან იმაში რომ 1907 წ. პეტერბურგში სახ. დუმის ს.-დ. ფრაქციის სახელით შეადგინეს აკრძალული საზოგადოება, რომელმაც თავის მოქმედების მიზნათ გაიხადა შეიარაღებული სახალხო აჯანყების საშუალებით მოსპოს ძირითადი კანონებით დამყარებულ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, წაართვას ხელმწიფე იმპერატორს უზენაესი ძალა-უფლება და დაამყაროს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა; ამასთან აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ ბრალდებულნი, მოქმედებდენ რა როგორც მათგანვე შედგენილი აკრძალული საზოგადოების საერთო სახელით- ისე კერძოთ, როგორც წევრნი აღნიშნულ საზოგადოებისა, პირდაპირ კავშირს იჭერდენ იმ საიდუმლო საზოგადოებებთან, რომელსაც რ. ს.-დ. მ. პარტიის პეტერბურგის ცენტრალურ კომიტეტს უწოდებენ და ამ ცენტრალურ კომიტეტს დაქვემდებარებულ ბევრ სხვა საიდუმლო ორგანიზაციებთან, რომლებიც დაარსებულია მთელი იმპერიის სხვა და სხვა კუთხეებში. მაშინ, როდესაც იცოდენ, რომ ყველა ამ საიდუმლო ორგანიზაციებს მიზნათ აქვთ დაამხონ არსებული წეს-წყობილება, დამყარებული ძირითადი კანონებით და დაარსონ რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა; დაუქვემდებარეს როგორც თავის მიერ შედგენილი საზოგადოების ორგანიზაცია, ისე მისი მოქმედება ცენტრალურ კომიტეტის კანტროლსა და ხელმძღვანელობას და თავის მხრივ ხელმძღვანელობდენ საიდუმლო კომიტეტების მოქმედებას რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა კუთხეებში სახალხო შეიარაღებულ აჯანყებას საქმის მოწყობაში; ადგენდენ, მექანიკურათ ავრცელებდენ და დასახელებულ საიდუმლო კომიტეტებს უგზავნიდენ განკარგულებათა წერილებს, რომლებშიაც ეალებდენ საიდუმლო პარტიის აგიტატორებს ამხედრებიათ რუსეთის მცხოვრებნი მთავრობის, თავადაზნაურობის ჩინოვნიკების და მემამულეების წინააღმდეგ; იმასვე საიდუმლო ორგანიზაციებს და ამ ორგანიზაციების წევრებს ავალებდენ, რომ შეეკავშირებიათ ყველგან აღელვებული გლეხ-კაცობა, მუშები და სალდათები საიდუმლო კავშირებათ, წრეებათ, ჯგუფებათ და ყველა ეს ორგანიზაციები გაეერთიანებინათ, რათა შემთხვევის დროს ესარგებლათ მცხოვრებთა ღარიბი კლასების უკმაყოფილებით, ორგანიზაციულათ მოეწყოთ და გამოეწვიათ გაერთიანებული აჯანყება ჯარებისა, გლეხებისა და მუშებისა; მათ მიმართეს მოწოდებით გლეხებს ფარულათ შეერთებოდნენ მუშებს კანონიერ მთავრობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისთვის: სახელმწიფო ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ და მის სახალხო დამფუძნებელ კრების ხელში გადასაცემათ, რომელიც არჩეულ უნდა ყოფილიყო საყოველთაო პირდაპირი, საიდუმლო და თანასწორი ხმის მიცემით; ხელმძღვანელობდენ იმპერიაში არსებულ დაფარულ და აღკრძალულ საზოგადოებებს და მათ კერძო წევრებს მათი ნაკაზების და მოწოდებების შედგენაში და თავიანთ სახელზე გამოგზავნაში; ასეთი ნაკაზები, ანუ მოწოდებები დგებოდა მცხოვრებთა სხვადასხვა ჯგუფების სახელით და შეიცავდა რევოლიუციონური ხასიათის მოთხოვნებს: გადაცემა უზენაესი ძალა-უფლების საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრების ხელში და შეიარაღებულ ძალით ამ მოთხოვნის დაცვის აღთქმის. პირდაპირ დაუახლოვდნენ ისეთ საიდუმლო აკრძალულ საზოგადოებას, რომელმაც მიითვისა რ. ს.-დ. მ. პ. სამხედრო ორგანიზაციის სახელწოდება, მაშინ, როდესაც იცოდენ, რომ ამ ორგანიზაციას დასახული ქონდა მიზნათ ჯარების ასაჯანყებლათ მომზადება. საზოგადოების ერთი წევრის—ყოფილი დუმის წევრის—გერუსის საშუალებებით 1907 წ. 29 აპრილს პეტერბურგში ხელმძღვანელობა გაუწიეს აკრძალულ საიდუმლო საზოგადოების ერთი ორგანიზაციის დაფარულ კრებას! მიიღეს ისეთი ნაკაზები, რომლებიც შეიცავდენ პეტერბურგის, ვილენსკის, ვიტებსკის, გელსინგფორსის და მარიამპოლსკის გარნიზონების ჯარების სხვა და სხვა ნაწილების რევოლიუციონურ მოთხოვნებს. 1907 წ. 5 მაისს პეტერბურგში სახ. დუმის ს.-დ. ფრაქციის ბინაზე მიიღეს პეტერბურგის გარნიზონის ჯარების ჯარის-კაცთან შემდგარი დეპუტაცია, რომელმაც მათ ნაკაზი წარუდგინა და რომელთაც ისინი დაპირდენ. ავრცელებდენ ფლოტისა და არმიის ჯარის კაცთა დეპუტაციის მიერ დუმის ს.-დ. ფრაქციასთან წარდგენილ ნაკაზს, რომელიც შედგენილი იყო პეტერბურგისამხედრო ორგანიზაციის მიერ და შეიცავდა დაპირებას, რომ ჯარი ძალით დაიცავს მასში (ნაკაზში) გამოთქმულ მოთხოვნებს. ამ ნაკაზის გასავრცელებლათ კავშირს იჭერდენ როგორც საზოგადოთ პეტერბურგის ჯარებში დაარსებულ, აღკრძალულ ორგანიზაციებთან, ისე კერძოთ, თითოეულ ჯარის კაცთანაც; ისინი ხდებოდენ ცენტრათ, სადაც თავს იყრიდა ყველა რევოლიუციონური მოთხოვნები საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრების მოწვევისა და რუსეთში ძალდატანებით დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსების შესახებ: ეს იყო ადგილი, სადაც იკრიბებოდა ცნობები და ანგარიშები იმპერიის ყველა აკრძალულ ორგანიზაციათა და საიდუმლო კომიტეტების შესახებ და ამ სახით რუსეთის სოც.-დემ. მ. პ., ცენტრალურ კომიტეტთან ერთათ, რევოლიუციონერ ძალთა და საშუალებათა სავარაუდო ანგარიშებ.

---

რომ შენ მხეცის სახელით მოგნათლე, თუმცა ბევრი ვიფიქრე ამ სახელის სხვა გვარათ გადაკეთება. რათ ჩაიდინე სისაზიზღრე? რათ გაეცი შენი მოძმე? რისთვის მიეცი ჯალათებს ხელში? მერე რა მიიღე საჩუქარათ? ვერცხლის ფული?. ცხადია, რომ ამ ნაშრომ ფულით შენ ტკბილათ შეექცევოდი მოშხამულ ღვინოს, მაგრამ ვერ ამჩნევდი ღვინოს სვამდი, თუ ადამიანის სისხლს! გესმის, ადამიანის სისხლს!? იუდამაც ხომ გაყიდა თავის მასწავლებელი, განა შენც იმავ გზას არ ადგიხარ? ძმაო, მაგრამ როგორ გიწოდო ძმა, როდესაც მრცხვენიან შენის წერილისა; ამ წერილის შემდეგ როგორღა გიწოდო ძმა? არა შენ ძმა კი არა ხარ ჩემი, არამედ მტერი!! როგორ გმორჩილებდა ეგ მტარვალი ხელი, როდესაც შენვე გაეცი და შენვე გულგრილათ ესროდი თოფის ტყვიას? ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ ამით სიმართლეს ჰკაფდი?!. იქნება შენ გგონია, რომ სიმართლე უკვე მკვდარია და ის სამარეს უახლოვდება?!. არა, ათასჯერ არა! ის სცოცხლობს და იცოცხლებს კიდეც მრავალ საუკუნოებს! დაფიქრდი, განა შეიძლება აზვირთებულ და თვალ უწვდენელი ზღვის შუა კედლის აშენება? ის ერთი მძლავრი ტალღის დაკვრით მთლათ შთანთქავს თავის უფსკრულში ამ კედლებს! განა შეიძლება თვალუწვდენელ ზღვის დაშრობა? არა! ეს მხოლოდ ოცნებაა, ეს მხოლოდ სულელს შეუძლიან წარმოიდგინოს. დიახ, სიმართლეც იგივე ზღვა არის, მას წინ ვერაფერი გადაეღობება, მას ვერავინ დაამწყვდევს!! ეს მხოლოთ შეიძლება მაშინ, თუ მთელი პლანეტა ქუდის ტოლათ იქცევა, მხოლოდ მაშინ შეიძლება სიმართლის ჩაქრობა!..

განა იესო ქრისტეც თავის დროს სიმართლეს არ ქადაგებდა,? და თუმცა ის ჯვარს აცვეს და აწამეს, მაგრამ მისმა სიმართლემ ღრმათ გაიდგა ფესვები და დღეს უთვალავია მისი მოძღვრების მიმდევარი. და შენ კი, შენ, ვერცხლის ფულზე გასცვალე უდანაშაულო ხალხი და არყით გაბრუებულ გონებით ხიშტებზე აცვი შენივე მოძმე?!. მაგრამ. სიმართლე რაც დრო გადის, მით უფრო თავის მტერს უახლოვდება, რომ თავზარი თასცეს ერთხელ და უკანასკნელათ!., უფროსო ძმაო, განა შენის წყალობით არაა, რომ ამ ბნელდა ნესტიან ს.პყრობილეში ვათენებ და ვაღამებ? მერე რაც? რა დაგიშავე? ალბათ ის, რომ მეექვსე წერილში გაგლანძღე და არ დავმალე რომ მე ვეკუთვნი მებრძოლთა ჯგუფს! მაგრამ შენ ყოველივე ეს გეპატიება როგორც უგუნურს! ეჰ! რომელი ერთი გითხრა, ახლოს უნდა ვიყვნეთ, რომ ყოველივე დაწვრილებით გითხრა! იცი, რომ მე აქ, ამ ნესტიან საპყრობილეში ვარ. აი, ამ საპყრობილეს კედლები და მასზე ამოსული ხავსი მოწამენი არიან შენი დის გაუპატიურებისა, გესმის, გაუპატიურებისა?!. დიახ, მე ძალით წამართვეს პატიოსნება, რომელიც ჩემს წმიდათა წმიდას შეადგენდა და ტოლ ქალებში ვამაყობდი ამ სიწმინდით. მაგრამ, თუმცა მე პატიოსნება წამართვეს და ნამუსი ამხადეს, სამაგიეროთ სიმართლე და სინიდისი შემრჩა, განა შეიძლება პატიოსანმა კაცმა იარაღით და ძალ-მომრეობით პატიოსნება წაართვას სუსტ არსებას?

თუ მოესწრობი, დაინახავ, რომ ძლევა-მოსილი სიმართლე თავს დაგატყდება, მე კი ყველას ვემშვიდობები, რადგანაც უკვე ჩემი სიცოცხლის დღეები მევე დამითვლია და ყოველივე ამის მიზეზს ხალხის წინაშე გამოვამჟღავნებ, თუ რა უპატიოსნო და იუდა ძმა მყოლია; ჰეე, ყველამ წაიკითხოს, თუ როგორ იცავს ხალხის შვილი ხალხის ინტერესებს?!! სიმართლისათვის ტანჯულწამებული შენი და მარო“.

ის იქო წერილის კითხვას ამთავრებდა, რომ ამ დროს ჯარის კაცმა მოკრძალებით. კარები დაუკაკუნა და გამოელაპარაკა.

— ვასილ, დეპეშაა თქვენთან!— ვასილა შეკრთა, თითქოს ეძინა და ეს არი გამოიღვიძა ძილიდანაო, თვალებზე ხელი გადისვა და კარებს მიუახლოვდა ვიწრო ხის კარი მძიმეთ და ხლაზუნით გაიღო და ვიღაცამ დეპეშა მიაწოდა ვასილას. ვასილს ხელი უკანკალებდა, სხეული უთრთოდა და შიშით ვერ ბედავდა დეპეშის გახსნას, თითქოს გულმა უგრძნო, რომ კარგს არას მოასწავებდა ეს პატარა ქაღალდის ფარატინა. ერთხანს იდგა გაშტერებული და რაღაცას ფიქრობდა, თითქოს გადახსნისათანავე სიმართლე ამოძვრება და მას პასუხს მოსთხოვსო. როგორც იყო მან გადაშალა დეპეშა და ჩახედა ნაწერს. ჯერ თითქმის არ სჯეროდა და შემდეგ ხმა მაღლა წაიკითხა: „მოღალატე ძმაო, მე თავი მოვიწამლე. შენი და მარო“. ვასილა ერთხანს იდგა შეშლილივით და უაზროთ რაღაცას ლუღლუღებდა.

— მაშ, მე ვინა ყოფილვარ?! მოღალატე! დის გამცემი?! მერე ვინ ჩამადენინა ყოველივე ეს? აი, ამ ფულმა!..—და... შეშლილივით გადახედა ვერცხლის ფულს. შემდეგ სტაცა ორთავე ხელები ტანსაცმელს და ლუკმა-ლუკმა დაფლითა.—მე მოვკალი ჩემი უდანაშაულო და მარო? შორს! შორს! არ მომეკარო! გამეცალე!.. ნუ მელანდები!.. გამშორდი!.. ახლოს არ მომეკარო, თორემ ფანჯარიდან გადაგისვრი!.. შემდეგ თვალებზე ხელი მიიფარა, თითქოს ვიღაცას ემალებოდა. ამ დროს ყურში რაღაცამ ჩასძახა:

— ჩამოშორდით! დიდებული სიმართლე მოდის და გზა ხსნილი უნდა დახვდეს!!!

— არა, არავის გავცემ, ოღონდ გამიშვით! სიცოცხლე შემანარჩუნეთ, გევედრებით... ბოლოს სწრაფად სტაცა ხელი იქავ მიყრდომილ თოფს, და ლულა გულზე მიიდო, უცებ გამოსწია ჩახმახი და ყრუ ყაზარმაში იგრიალა თოფის ხმამ... ჯარის კაცნი სისწრაფით ფეხზე წამოხტნენ და ყველამ ერთად თვალები იქით მიაპყრო, საიდანაც თოფის ხმა მოისმა. ვასილა კი, თოფით ხელში, სისხლ მორეული თვალებით, ფეხშიშველა ტანზე შემოფლეთილი მუნდირით იდგა და იმავე წერტილს გაშტერებული შესცქეროდა. იქ მყოფი ჯარის კაცნი შიშმა შეიპყრო, ვასილა კი რაც შეეძლო ხმა მაღლა ყვიროდა:

— არა, ის მკვდარი არ არის! მე ის ვერ მოვკალი! ის გაექცა ჩემს თოფის ტყვიას! მომეხმარეთ, მოვკლათ! აუუ... აი ის აქ, ამ მონურ ყაზარმაში შემოგვეპარა, დაიჭით, ეგ სიმართლეა! აუუ... ჩქარათ, თორემ განთიადიც მოახლოვებულია და მყუდრო ბნელ ყაზარმას გაანათებს; მაშინ სიმართლეც გაგვექცევა. ხმა გაეცით გარეთ მყოფ ჯარის კაცთ, დაე, ისინიც მოგვეხმარონ. აუუ... აუუ... გამოიღვიძეთ, კმარა, ნუ გძინავთ! სიმართლე აქ არის მიმალული... აუუ... გამოიღვიძეთ, განთიადი მოახლოებულია! საცაა მზეც ამოაშუქებს! აუუუუ... მაშ, მე, მე, რაღათა ვარ ცოცხალი? მოიცათ... მომითმინეთ... მეც თქვენთან ერთად მოვალ...

უკანასკნელათ ამოიხვნეშა ვასილამ და უსულოთ გაიშხლართა ოთახის იატაკზე.

უმბრი.

...დგენდენ, თუ რამდენათ არის ხალხის მასსა აჯანყებისათვის მომზადებული და საზოგადოთ არის თუ არა შესაფერი მომენტი. იწვევდნენ ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებს სახელმძღვანელო ცირკულიარების მისაღებათ. ავალებდნენ მათ-მიერვე შედგენილ ორგანიზაციების წევრებს, მონაწილეობა მიეღოთ მუშათა უკანონო კრებებზე, წარმოეთქვათ ესეთ კრებებზე ამაღელვებელი სიტყვები. ავრცელებდნენ არა-ლეგალურ ლიტერატურას და ბოლოს თავიანთ განკარგულებაში ქონდათ ყალბი პასპორტები, რათა ისინი მიეწოდებინათ მთავრობის ხელიდან გაქცეულ და დამნაშავე პირთა დასამალავათ.

(დასასრული იქნება)

## მუშათა შორის.

**თფ. მეხაშეებში მომუშავე მუშების ცხოვრებიდან.** დღეს საზოგადოთ რუსეთში ყველა მუშები ცუდ და აუტანელ პირობებში იმყოფებიან. დუხჭირ ხორებისა და თავ გასულ ბურჟუა ხაზეინების მეოხებით, მარა როგორშიაც მეხაშეებში მომუშავე მუშები იმყოფებიან დღეს მე არ მგონია, რომ სხვა რომელიმე პროფესიის მუშები იყვნენ. ამ მუშებისთვის არ არსებობს დღეს არც 9 საათის სამუშაო დღე, არც სუფთა ბინები და არც სხვა. ერთის სიტყვით ყველაფერ ადამიანურ უფლებებს მოკლებულნი არიან.

ამას წინათ ამ მუშებს თავიანთ შორის პროფესიონალური კავშირი ჰქონდათ მოწყობილი, რომელსაც თფ. პროფესიონალური კავშირების კონფერენციაზე წარმომადგენელიც კი ჰყავდა გაგზავნილი. დღეს კი მათ შორის აღარც კავშირია და აღარც სხვა რომ, როგორც ეს უკვე ვსთქვი ზემოთ. ამით გაყოყოჩებული მეხაშე ხაზეინები მოჯამაგირე მუშებს თან და თან სასტიკ მდგომარეობაში აგდებენ. მაგალითათ, დღე და ღამე სულ ერთთავათ მუშაობა და სხვა. საკვირველია სწორეთ, რომ პროფესიონალური კავშირების ცენტრი ამისთანა საქმეებს ძრიელ ნაკლებათ იქცევს ჯეროვან ყურადღებას.

ე. ბაჟელი.

## პროვინცია

**ს. დიდი-ჯიხაიში.** (ქუთაისის მაზრა) უფრო მეტ სარგებლობისთვის საჭიროდ სცნო ადმინისტრაციამ ჯიხაიშის გამოყოფა და ცალკე საგენერალ-გუბერნატოროდ გადაკეთება. გ.—გუბერნატორად დაინიშნა ამ დროის თავდადებული მოღვაწე თ. ნ. ჩ—ძე, როგორც დახელოვნებული პრაქტიკოსი „ადამიანთა ვაჭრობაში". ფრიად სასტიკი რამ [illegible] ბ. ნიკო. და ეს სისასტიკე მას [illegible] განსაკუთრებით თ. [illegible] შემდეგ. [illegible] რომ არ მოეკლათ—, ბრძანების ნიკო, კიდევ [illegible] მოგუთმენ [illegible] ს.-დემოკრატების და [illegible] კი ყველა ჩემი განკარგულებები იქნება უთუოდ მკაცრი და [illegible]". და მართლაც ბევრი „[illegible]" იყო გამკვებული მის საგენერალ-გუბერნატოროდ. ამას შემდეგ ლილის ენერგიით ასრულებს თავის ფუნქციებს ყველა [illegible]. ადგილობრივ ჯიხაის ადმინისტრაციამ განიძრახა განსაკუთრებული ფონდის და [illegible] სა[illegible]ლოს და [illegible] საპყრობილეთ გადაკეთებული შენობის გასა-

ფართოებლათ, რადგანაც ის ამ უკანასკნელი დანიშნულებისათვის ძლიერ ნაკლებ საიმედო არის.

უკანასკნელ დღეებში ხმა გავრცელდა თითქოს ადგილობრივი ადმინისტრაცია აპირებდეს სოფლის ყარაულების ნაცვლად „დგორნიკების" ჩაყენებას ყველა ეზოში. ამან კი გამოიწვია ხალხში საშინელი მღელვარება.

ჯ—თე.

**რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი.** როდესაც კანმათავი უფლებელი მოძრაობა დაიწყო ჩვენში და გამეფ-ტერორული გლეხობა სათარეშოთ ემზადებოდა თავიანთ მჩაგვრელთა ისე წარ დასაცემათ, აი ამ დროს დამფთხალმა თავად-აზნაურობამ და სულის მამებმა გლეხებს ძმობა-ერთობა გამოუცხადეს და დღეის შემდეგ ჩვენ თქვენი დროშის ქვეშ ვიდგებით და სადა თქვენ ჩვენც იქ დავიხოცავთ თავებსო; და აი ასე ამნაირათ შეძვრნენ ისინი ხალხის ორგანიზაციებში და გლეხებთან ერთათ იგისრეს საზოგადოებრივი ფულის გაწევა, გზების კეთება, ეკკლესიების ყარაულობა და სხვა მრავალი ასეთები საქმე. მაგრამ გამეფდა რეაქცია და ისინიც როგორც რეაქციის დვიძლი შვილები რეაქციას მიემხრნენ და გუშინ, რომ ძმობა გამოუცხადეს ხალხს, დღეს ჯაშუშებათ და მოღალატეებათ გადაიქცნენ, რომლების საზიზღარ მოქმედებებს საზღვარი არა აქვს. მაგრამ ავიწყდებათ ამ ვაჟბატონებს, რომ არ გაივლის ბევრი დრო და შურის ძიებით აღვსილი ხალხი შესაფერ პასუხს გასცემს და სასტიკ მსჯავრს დასდებს მათ, არაადამიანურ, მოქმედებას. ჩვენებური გლეხკაცობა ძრიელ გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს, სახელმწიფო სათათბიროს თუმცა არავითარ სიკეთეს არ მოელის მისგან.

სავარდიელი.

**დ. აბასთუმანი.** ამისთანა მშვენიერი კუნჭული, როგორიც არის აბასთუმანი, თავის სამკურნალო წყლებით და ბუნების სიმშვენიერით, არ იქნა და ვერას გზით ვერ ეღირსა ავტომობილის მ. მოსვლას. იქნება თითქმის ხუთი ექვსი წელიწადი, რაც განზრახულია ავტომობილის მუმოდება მაგრამ ეს ოცნებათ არის დარჩენილი. სათავეში ამ საქმეს უდგას რამდენიმე პირი, რომლებმაც შეიმუშავეს წესდება სააქციონერო ამხანაგობისა, მაგრამ ეოგვედივე ამას ადგილობრივი საზოგადოება და სახლის პატრონები რადაცა გულ-გრილათ უცქერიან. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება, რომ გაზაფხულზე მაინც ვეღირსოთ ავტომობილის მიმოსვლას.

აბასთუმელი.

## რუსეთის ამბები

**ებრაელების გამოდევნა ფინლიანდიიდგან.** ფინლიანდიის ქალაქ ჰელსინგფორსიდან ძალით გამოდევნეს ებრაელები; რკინის გზის სადგური საზარელ სურათს წარმოადგენდა; პოლიციას მოეყვანა აქ 30-მდე ებრაელის ოჯახი, რომლებსაც პეტერბურგის სამგზავრო ბილეთები ჩააბარეს; პოლიცია მხოლოდ მაშინ დაცხრა და დამშვიდდა, როდესაც ებრაელები ვაგონებში ჩასხდნენ და მატარებელი დაიძრა. ადგილობრივმა სოციალდემოკრატებმა გამართეს მიტინგი, რომელზედაც პროტესტი გამოუცხადეს მთავრობას, გაკიცხეს ის ასეთი მოქმედებისთვის. მიტინგი გაიხსნა სეიმის დეპუტატის—ნეუოლტეის სიტყვით, სადაც ის ჰკიცხავდა მთავრობის და სენატის მოქმედებას. მიტინგის დასასრულ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ აუსინდისო და უსამართლო განდევნა ებრაელებისა აშკარად ეწინააღმდეგება ფინნების უფლებრივ შეხედულებას, სრულებით არ შეეფერება ებრაელების ცხოვრების შესახებ არსებულ კანონებს, ხალხის წარმომადგენლობის შეხედულებას, რომელმაც უკვე მიიღო ზომები ებრაელების უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხუთი კაცისაგან არჩეულ კომიტეტს დაევალა გადასცეს სენატს ეს რეზოლიუცია და წინადადება მიეცეს მას, ახლო მომავლისათვის მოაწესრიგოს ებრაელების კითხვა ფინლიანდიაში.

**გენერალ გერშელმანზე თავდამსხმელი** ქალი, რომელსაც მისი მოკვლა უნდოდა, გადასცეს სამხედრო-საოლქო სასამართლოს. სასამართლოს სხდომა მოხდა ერთ-ერთ საპოლიციო ნაწილში. ქალის ვინაობა მაინც ვერ გამოარკვიეს, რადგანაც მან არავითარი ჩვენება არ მისცა. სამხედრო-საოლქო სასამართლომ მას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა

**ჭეშმარიტ რუსთა კავშირის სიეზდი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ჭეშმარიტ რუსების კავშირის თავმჯდომარეს-დუბროვინს, პეტერბურგში მოიწვიოს მეექვსე სიეზდი შეერთებულ ჭეშმარიტ რუსებისა ამ პირობით, თუ სიეზდი მხოლოდ ორგანიზაციულ კითხვებს გაარკვევს და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ კითხვებს არ შეეხება,

**პურიშკევიჩი და დუბროვინი.** პურიშკევიჩს და დუბროვინს,—რომლებსაც კავშირის ფულის განაწილებაზე ერთი-მეორესთან უსიამოვნება მოუვიდათ,—ახლა გულაუწყვეტიათ შერიგდნენ, რისთვისაც „კავშირის" მთავარ ორგანოში „რუსკოე ზნამიაში" ორთავეს ხელმოწერილი წერილი მოუთავსებიათ, სადაც აცხადებენ, რომ „მათი ურთიერთ დამოკიდებულება სულ სხვა მხრივ არის მიმართული".

**სოციალ-დემოკრატ. მუშების კონფერენცია.** პეტერბურგში მოხდა რამოდენიმე ფაბრიკის და ქარხნის მუშების შეერთებული კონფერენცია. ქარხნის ანგარიშების მოსმენის შემდეგ, კონფერენციამ კამათი იქონია უმუშევართა საბჭოს შესახებ. კონფერენციამ გადასწყვიტა დაიშალოს საბჭო და მისი ფუნქცია გადაეცეს პროფესიონალურ კავშირებს.

**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მრეწველობის აყვავებაზე ზრუნავს.** მიწების მომწყობი გამგეობაში კითხვა აღიძრა საზღვარ-ციმბირის საწყობებისათვის სასოფლო სამეურნეო მანქანების ყიდვის შესახებ, რისთვისაც მან მილიონნახევარი მანეთი გადასდო. სამშობლო მრეწველობის ასაყვავებლათ ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო სთხოვს მთავარ-გამგეობას, რომ თუ სულ არა, ნაწილი მაინც რუსეთის ქარხნებს შეუკვეთონ.

**რკინის-გზის დათხოვნილ მოსამსახურეთა მდგომარეობა.** პეტერბურგის რკინის გზის ბევრმა მოსამსახურემ, რომელნიც დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის და სასამართლომ გაამართლა, დღეს უნუგეშო მდგომარეობაში არიან. ადგილობრივი მმართველობა მათ უკან არ იღებს, არც გზათა სამინისტრომ მიაქცია მათ თხოვნას ყურადღება ახლა ისინი ფიქრობენ დასაბუთებული პეტიცია წარუდგინონ სათათბიროს.

**გადასახლებულთა გამგზავრება.** 27 ნოემბერს მატარებლებით ნიკოლაევის რკინის გზით პეტერბურგიდან ადმინისტრატიულის წესით გაგზავნეს 200 კაცი. იმავ საღამოს და ღამით სხვა მატარებლებით კიდევ 60-მდე პოლიტიკური დამნაშავე გაგზავნეს, ყველა ამათ შორეულ გუბერნიებში ასახლებენ.

## უცხოეთი

**სპარსეთი.** როგორც დეპეშებიდან სჩანს, აჯანყებული ბრბო, რიცხვით ხუთიათას კაცამდე ბაიახიტადას წანამძღოლობით თათრების დახმარებით შევიდნენ სოუჩბულაგში, სადაც გზა-დაგზა აახრეს მრავალი სოფლები სოუჩბულაგის გუბერნატორმა დასტოვა ქალაქი. ტელეგრამის მავთულები დაწყვიტეს. ქურთები შიდიან მიანდაბში, რომლის გზაზედაც ცხოვრობენ რუსეთის ქვეშევრდომები. როგორც სჩანს, სპარსელებს არ შეუძლიათ მათი შეჩერება.

ადერბეიჯანის პრინცი ფერმა სასწრაფოდ გაემგზავრა სოუჯბულაგში, გათომდა აჯანყებულ ქურთების დასაწყნარებლად. რადგანაც მას შედარებით მცირე ჯარი ახლავს, ფიქრობენ, რომ პრინცი ურმიის და სოუჯბულაგის გუბერნატორებიგით გზიდან გადუხვევს და თეირანში გაემგზავრება. ამნაირად ქალაქი და პროვინცია დარჩნენ უპატრონოთ, რადგანაც მათ არ მოევლებათ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელნი.

ბაიაზეთ-ადამ, ქურთების სხვა სარდლებთან ერთად, გამოაცხადა, რომ სოუჯბულაგის ქალაქები სპარსეთთან არიან შეერთებულნიო. ფერმა სასწრაფოდ მოგრებილ ჯარით მანდაბისაკენ წავიდა, საითკენაც სპარსეთის გუბერნატორები და ჯარი გაემგზავრნენ.

**ბალკანეთის ნახევარ კუნძული.** ქალაქ ზაგრებში, ხორვატიელების სეიმის გახსნის დღეს, 29 ნოემბერს, სოციალისტებმა გამართეს მანიფესტაცია ქუჩებში ერთად სიარულით და გამოაცხადეს ჩაერთო გაფიცვა. მრავალ-რიცხოვანმა დეპუტაციებმა სეიმის პრეზიდენტს გადასცეს შემთხვევები, სადაც მოითხოვენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას. სეიმის სხდომამ მღელვარე ხასიათი ქონდა. ოპოზიციამ შეიტანა მთელი რიგი წინადადებისა, რომლებითაც მოითხოვდენ ხორვატის მმართველის რაკოცაის გადაყენებას და აგრეთვე წარადგინეს სხვადასხვა წინადადებები, რომლებიც მიმართული იყო მთავრობის წინააღმდეგ. რაკოცაის დაპარკვის დროს, ეგირიან და სიტყვას აწყვეტინებენ. ბოლოს მან წაიკითხა მეფის დეკრეტი სეიმის დათხოვის შესახებ. დათხოვნა დასაბუთებულია მით, რომ უნარი არა აქვს საკანონმდებლო მუშაობისა. დეპუტატებმა დასტოვეს დარბაზი ხორვატიულ ჰიმნის სიმღერით.

**სერბია.** 28 ნოემბერს, ღამით რეგოლვერით მოკლეს რევოლიუციონერების ცნობილი ხელმძღვანელნი ბროს სარაფოვი და გარვანოვი. როდესაც სარაფოვი გარვანოვთან ერთად თავის სახლის გამოსასვლელ კარებში გამოჩნდა, იმ წამსვე მიირბინა ვიღაც მკვლელმა და ორივერევოლვერით დახოცა.

სარაფოვის და გარვანოვის მკვლელი ბოლგარიის ქვეშევრდომი, ყანდოს ბრბოს ცნობილი მეთაური პანიცა აღმოჩნდა. მან რევოლვერით ორთავეს თავები დაუცხრილა. გარვანოვი იქვე მოკვდა, მხოლოდ სარაფოვი ნახევარ საათის შემდეგ, საავადმყოფოში. პანიცა სადღაც მიიმალა.

## წერილი „ეკლის" რედაქციის მიმართ *).

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით თავიდგან ავიცილო ის საშინელი მითქმა—მოთქმა, რომელიც გამოიწვია თქვენი გაზეთის მეშვიდე ნომერში მოთავსებულმა წერილმა. „ეკლის" მეშვიდე ნომერში მოთავსებული იყო ვრცელი წერილი ბებია ქალის მარია კობახიძის შესახებ, რომელიც ამჟღავნებდა არშაკ ვარნაზიანცის მოწამვლას მარია კობახიძისაგან. რადგანაც ამ წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და მასთან მეც ბებია ქალი ვარ გვარათაც კობახიძე და ბევრი საზოგადოებაც მიცნობს, ბევრს გონია, რომ თითქოს მე ვიყო თქვენს გაზეთში აწერილი, რადგანაც ბევრი მარტო გვარით მიცნობს და სახელი არც კი იცის. ამისათვის საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ მე არავითარი კავშირი არა მაქვს „ეკალში" მოთავსებულ წერილთან, მე ვცხოვრობ ალექსანდროვის ქუჩაზე, თევდორაძის სახლებში, ვმსახურობ ექიმ რელი იონიძის კაბინეტში და ქალაქის უფასო სამკურნალოში. მარია კობახიძე კი რომელსაც ვარნაზიანცის მოწამვლას აბრალებენ. სცხოვრობს გიმნაზიის ქუჩაზედ, ნიკოლაძის ხალებშიდ და მსახურობს თოფურიასეულ საავათ მყოფოში ბაქრაძესთან.

ამასთანავე ვთხოვ პატივცემულ „ეკლის" მკითხველებს და საზოგადოთ ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას მიაქციონ ყურადღება ჩვენს სახელებს და ნუ აურევენ ერთმანერთში მარიასადანადექდას.

ბებია ქალი ნადეჟდა კობახიძე.

**ანგარიში სოფელ ბაჯის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების განმზრახველ ჯგუფისა.** ამას წინათ, ჩვენ უკვე გვქონდა გამოქვეყნებული, თუ რომელმა წიგნის მაღაზიის პატრონებმა, ან და კიდევ სხვა კერძო პირებმა, რამდენ-რამდენი ცალი წიგნი შემოსწირეს ჩვენს ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას. აგრეთვე გვქონდა მოხსენებული მათი ღირებულებაც. გვქონდა კიდევ ფულის შემომწირველთა სიაც სახელგვარებით, რომლის ჯამს შეადგენდა 93 მან. 50 კაპ., ამ ჯამიდან 25 მან. მივეცით წიგნების დასაკაზმათ, 25 მან. სხვა და სხვა აუცილებელი წიგნები ვიყიდეთ, 5 მან. დაგვიჯდა ჯგუფის ბეჭედი და მასთან ბიბლიოთეკის კატალოგები—1 მ. 50 კაპ., წიგნების ჩაწყობა იაშიკებში 3 მან., მუშას 50 კაპ.

ამ საქმეზე სიარულის დროს თითქმის ერთი თვის განმავლობაში ჯგუფს დაეხარჯა სულ 20 მანეთი. დარჩა კასაში ამ ჟამათ 13 მ. 50 კ.

აჲხ. მონდობილობით ევგ დვალი.

*) რადგანაც „ეკალი" მეშვიდე ნომრის შემდეგ შეჩერებულია და, შესაძლებელია, ახლო მომავალში ვერ გამოვიდეს, „ცისნამის" რედაქცია, „ეკლის" თანამშრომლის მიმინოს თხოვნით, აძლევს ადგილს ამ წერილს. რედ.

რედაქტორ გამომცემელი
გიორგი სხირტლაძე.

## განცხადებანი

„რაჭა-ლეჩხუმელ და სვანელ მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების შემწე ამხანაგობის" გამგეობა, ამით [illegible] დღეს წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას, 9 დეკემბერს, დანიშნულია

### საერთო კრება

სადაც სთხოვენ ყველას, რომ აუცილებლივ გამოცხადდენ დანიშნულ ადგილას.